

შპს „ახალი ქსელების“-ს მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) და „Backhaul” გადაცემის ქსელებთან დაშვების შეთავაზების წინადადება

მონვევის ოფერტა

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის № 671/9 გადაწყვეტილების შესაბამისად)

წინამდებარე მონვევის ოფერტით (შემდგომში „ოფერტა“) განსაზღვრულია შპს ახალი ქსელების მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) და „Backhaul” გადაცემის ქსელებთან დაშვების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება დაშვების მსურველ ყველა ავტორიზირებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“) და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით. “ოფერენტის” მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) და „Backhaul” გადაცემის ქსელებთან დაშვების ხორცილდება შემდეგი პირობებით:

1. ოფერტის მოქმედების გეოგრაფიული საზღვრები:

1.1. „Backhaul” გადაცემის ქსელთან დაშვების გეოგრაფიული საზღვრები:

- ა) ქალაქი თბილისი
- ბ) ქალაქი ქუთაისი
- გ) ქალაქი ფოთი

1.2. მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვების გეოგრაფიული საზღვრები:

- ა) ზესტაფონი-თერჯოლა.

2. დაშვების ტარიფები

ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან დაშვების მომსახურება 1 (ერთი) ბოჭკოს მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი/კმ	მონაცემების ტრანსპორტირების მომსახურება 1 (ერთი) მბიტ/წმ არხის მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი
14.90	0.50

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ახალი ქსელები და აქცეპტანტი განეული მომსახურების აღრიცხვას განახორციელებენ ყოველთვიურად, რომლის შესახებაც დგება საოქმო გადაწყვეტილება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე. ხოლო ანგარიშსწორება წარმოებს, არაუგვიანეს საოქმო გადაწყვეტილების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღებიდან

10 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტის მიმართ ახალი ქსელების მხრიდან გამოყენებულ იქნება 4.2.3, 4.2.4 პუნქტით გათვალისწინებული უფლება, ანგარიშსწორება ინარმოებს წინასწარი გადახდის პრინციპით. ასეთ შემთხვევაში, თუ ახალი ქსელების მხრიდან გაწეული მომსახურების ოდენობა მიაღწევს აქცეპტანტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ოდენობას (აგრეთვე საბანკო გარანტიის შემთხვევაში - ამოიწურება საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა), ახალ ქსელებს ეძლევა უფლება შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შეწყვიტოს მომსახურება და თუ აქცეპტანტი 3 დღის ვადაში არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას ახალ ქსელებს უფლება აქვს, ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3.2. აქცეპტანტის მხრიდან 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში საოქმო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ეგზემპლარის ახალი ქსელებისათვის მიუწოდებლობა ჩაითვლება უარად მომსახურების მიღებაზე და აქცეპტანტის ნების გამოვლენად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

3.3. ახალი ქსელები უზრუნველყოფს გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3.4. ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, ახალი ქსელები უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დააკისროს აქცეპტანტს პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,2%-ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება ანგარიშსწორების ვადის დარღვევის დღიდან, მიუხედავად წერილობითი შეტყობინების გაგზავნის თარიღისა.

3.5. ოფერტით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის/ საურავის გადახდა დამრღვევ მხარეს დაეკისრება მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ.

3.6. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ანგარიშსწორება აწარმოონ მხარეთა შორის სხვა მომსახურებიდან/ხელშეკრულებიდან მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვით.

4. ქსელთან დაშვების და ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურები

4.1. წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:

- 4.1.1 საფირმო სახელწოდება;
- 4.1.2 იურიდიული და ფაქტიური მისამართები;
- 4.1.3 ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი და ფაქსის ნომრები;
- 4.1.4 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, მისამართი და საკონტაქტო ნომერი;
- 4.1.5 საქმიანობის სახეები, რაზეც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - კომისია) გავლილი აქვს ავტორიზაცია;
- 4.1.6 ქსელის მონაკვეთი, მომსახურების სახე, მოცულობა და აქტივირების სასურველი თარიღი.;
- 4.1.7 წინამდებარე ოფერტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური, რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;
- 4.1.8 საკონტაქტო პირების სახელები, გვარები და ტელეფონის ნომრები.

4.2 წერილობით განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.2.1 ავტორიზაციის მოწმობის ასლი;

4.2.2 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

4.2.3 ახალი ქსელები უფლებამოსილია მოსთხოვოს აქცეპტანტს, რომელსაც ახალ ქსელებთან არ ჰქონიათ სამართლებრივი ურთიერთობა, ან რომელიც ახალ ქსელთან მანამდე არსებული, ამ ოფერტით გათვალისწინებული თუ სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე არ ან არაჯეროვნად ასრულებდა ახალი ქსელების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია. ხელშეკრულების შესრულების გარანტია გულისხმობს გამოუხმობად საბანკო გარანტიას ან ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხას. საბანკო გარანტიად მოიაზრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ წარმოდგენილი ფულადი წერილობითი გარანტია, რომლის ძალითაც, გარანტიის მიმცემი თვითონ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს (ახალი ქსელებს), ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. საბანკო გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა გულისხმობს, აქცეპტანტის მიერ ახალი ქსელების ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება მომსახურების მიწოდების საფუძველზე წარმოშობილი აქცეპტანტის ვალდებულებების შესრულების გარანტიად და იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტი არ დაფარავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას, ახალ ქსელებს ეძლევა უფლება აქცეპტანტის მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხიდან. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. ხელშეკრულების შესრულების გარანტია უნდა იყოს აქცეპტანტის მიერ ახალი ქსელებისათვის ხელშეკრულების თანახმად ორი თვის გადასახდელი თანხის ოდენობა.

4.2.4. ახალი ქსელები ასევე ითოვებს უფლებას, მოსთხოვოს ამ ოფერტის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების მხარეს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა, თუ აქცეპტანტი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაარღვევს ანგარიშსწორების ვალდებულებას და ეს უკანასკნელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი გარანტია.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ მსურველი პირის მხარეს არსებობს შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება ახალი ქსელების წინაშე, იგი ვალდებულია დაფაროს არსებული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წერილობითი განაცხადი არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად ახალი ქსელების მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას გააფორმოს მასთან ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტის შესაბამისად.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადი არ აკმაყოფილებს 2.2 და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებულ, მსურველ პირს 4 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ამის შესახებ და ამ შემთხვევაში 4.5 და 4.6 პუნქტებში აღნიშნული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ. შესაძლებელია, მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდეს 4.2.3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ აღნიშნული გარანტიის ახალი ქსელებისათვის წარდგენის დღიდან.

4.5 იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შედგენილია 4.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მოთხოვნილია წინამდებარე ოფერტისგან განსხვავებული დაშვების განხორციელების პირობები, ახალი ქსელები 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის

განაცხადში მითითებული სქემით დაშვების განხორციელების მიზანშეწონილობას და აცნობებს მსურველ პირს.

4.6 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაშვების განხორციელება განაცხადში მოთხოვნილი სქემის მიხედვით მიიჩნევა, რომ განაცხადი არ აკმაყოფილებს წინამდებარე ოფერტის პირობებს და 4.7 და 4.8 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება. ახალი ქსელები შესაძლებლობების ფარგლებში შესთავაზებს მსურველ პირს ალტერნატიულ ვარიანტს, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან დამატებით. დაშვების განხორციელების სქემის შეთანხმების შემდგომ, მსურველი პირი ვალდებულია ხელახლა მიმართოს ახალ ქსელებს განაცხადით.

4.7 4.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მსურველ პირს გადაეცემა დაშვების ხელშეკრულების პროექტი ან ელექტრონული სახით გაეგზავნება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. მსურველი პირი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში ელექტრონული სახით გაუგზავნოს ახალ ქსელებს შესაძლო შენიშვნები ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. ახალი ქსელები შემდგომი 5 (ხუთი) დღის განმავლობაში უგზავნის ხელშეკრულების ხელმოწერილ ეგზემპლარებს მსურველ პირს. მსურველი პირი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში ხელშეკრულების მისი მხრიდან ხელმოწერილი ეგზემპლარი გადასცეს ახალ ქსელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ წინამდებარე ოფერტაზე აქცეპტი არ განხორციელებულა და ახალ ქსელებსა და მსურველ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს.

4.8 მხარეები ვალდებული არიან ზედმინვენიტ დაიცვან 4.7 პუნქტით გათვალისწინებული ვადები და განაცხადის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება.

5. ფართებზე დაშვება და მომსახურება

5.1. თავისუფალი ფართის არსებობის პირობებში, აქცეპტანტის დაშვება შესაძლებელია თბილისში, ჩიქოვანის ქ.#16, ქუთაისში, თამარ მეფის ქ.#22, ფოთში, წმინდა გიორგის 16, სადაც ოფერანტი უზრუნველყოფს არასანქცირებული შეღწევისგან დაცვას, აქცეპტანტის მომსახურე პერსონალის წინასწარი წერილობითი შეთანხმებით დაშვებას, ელექტრულ კვებას მუდმივი დენის წყაროებიდან და კონდიციონერებს, რის საფასურს აქცეპტანტი გადაიხდის მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

5.2. ოფერანტის ფართებზე აქცეპტანტის მოწყობილობის განთავსების ყოველთვიური საფასური, გაბარიტების მიხედვით, გადასახადების გარეშე, შეადგენს: 1მ x 1მ x 1მ ტოლ ან ნაკლებ გაბარიტებზე 500 ლარი, ხოლო ნებისმიერი განზომილების ყოველ დამატებით 0,5 მ-მდე 50 ლარი.

6. დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურა

6.1. აქცეპტანტისთვის მომსახურების მოცულობის გაზრდა განხორციელდება წერილობით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, ტექნიკური შესაძლებლობის/თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანართის გაფორმების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. დაზიანებული კაბელის აღდგენის ვადები

7.1. დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღდგენის ვადები არ აღემატება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კომისიის მიერ დადგენილი რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს.

8. მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ტექნიკური მომსახურების პირობები

8.1. მომსახურების შესაბამისი მახასიათებლები: ჯიტერი, დაყოვნება, დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი;

ჯიტერი (jitter) – პარამეტრი, რომელიც გამოსახავს ქსელის გამტარუნარიანობის შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეულ პაკეტების გაგზავნასა და მიღებას შორის არათანაბარ/არაერთგვაროვან დროის დაყოვნებას მილიწამებში;

ჯიტერი (jitter) = $\leq 5 \text{ ms}$

დაყოვნება – პარამეტრი, რომელიც აჩვენებს დაუტვირთავ არხზე ქსელის ტერმინაციის წერტილსა და ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლის ინტერნეტის გაცვლის წერტილს შორის, ორივე მიმართულებით, პაკეტების გაგზავნასა და მიღებას შორის დროის დაყოვნებას მილიწამებში;

დაყოვნება (Latency) = $< 30 \text{ ms}$

დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (packet loss ratio) – პარამეტრი, რომელიც გამოსახავს დაკარგული პაკეტების პროცენტულ პროპორციას გაგზავნილი პაკეტების მთლიან რაოდენობაში;

(Packet Loss): $\leq 0.1\%$

8.2. ხარვეზის დაფიქსირების, რეგისტრაციის, კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები (მათ შორის კრიტიკული, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი კატეგორიებისთვის);

ხარვეზის დაფიქსირება:

ელექტრონული ფოსტა, ტექნიკური ქოლცენტრი, პირადი მენეჯერი, ქსელის მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფის სამსახური (NOC)

NOC- Email: noc@ak.ge; (netsupport@ak.ge 24/7)

NOC Tell: 995 032 2457505

ტექნიკური ქოლცენტრი: [110000](tel:110000) ან [0800 00 50 50](tel:0800005050)

პირადი მენეჯერი:

ხარვეზის რეგისტრაცია:

კომპანიის დაზიანების პორტალი.

8.3. კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები (მათ შორის კრიტიკული, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი კატეგორიებისთვის);

A კრიტიკული

მომსახურების სრული შეწყვეტა

რომელიც გამოწვეულია მაგისტრალური ქსელის, ძირითადი აპარატურის ან სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება, რომელიც იწვევს მომსახურების სრულ შეწყვეტას.

აღმოფხვრის ვადა: Max 3–24 საათამდე, დაზიანების ხასიათის, ადგილმდებარეობისა და საჭირო სამშენებლო/აღდგენითი სამუშაოებისა და ნებართვების გათვალისწინებით.

B მნიშვნელოვანი

მომსახურების ნაწილობრივი შეზღუდვა ან ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, რომელიც არ იწვევს მომსახურების სრულ შეწყვეტას.

აღმოფხვრის ვადა: Max 3-48 საათამდე

C ნაკლებად მნიშვნელოვანი

არაკრიტიკული მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც არ იწვევს მომსახურების შეწყვეტას და არ ახდენს არსებით გავლენას მომსახურების ხარისხზე და შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციულ ხასიათსაც.

აღმოფხვრის ვადა: Max 8-48 საათამდე.

8.4. 24/7 ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობები და ხარვეზების ესკალაციისთვის საჭირო პროცედურები; ა.კ.დ) დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ წინასწარი შეტყობინების ვადები და პირობები.“

ტექნიკური ქოლცენტრი და ქსელის მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფი (NOC) სამსახური, ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე (24/7/365).

ტექნიკური მხარდაჭერა ხორციელდება შემდეგი საკომუნიკაციო არხებით:

- ტელეფონის საშუალებით;
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

ხარვეზის დაფიქსირებისთანავე იგი რეგისტრირდება დაზიანების პორტალზე და იწყება რეაგირება.

ხარვეზების ესკალაციის პროცედურა

პრობლემის ეფექტური და ღროული აღმოფხვრის მიზნით, ოპერატორში მოქმედებს ხარვეზების ეტაპობრივი ესკალაციის პროცედურა.

1. პირველი დონე (L1) – ქოლ-ცენტრი / მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახური

- მომხმარებლისგან შეტყობინების მიღება და რეგისტრაცია;
- მომხმარებლის იდენტიფიცირება;
- პირველადი დიაგნოსტიკა და დისტანციური მხარდაჭერის გაწევა;
- ხარვეზის დისტანციურად აღმოფხვრის მცდელობა.

2. მეორე დონე (L2) – ქსელის მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფი (NOC)

- თუ ქოლ-ცენტრი ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას, შემთხვევა ესკალირდება ქსელის მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფში;

- ჯგუფი ახორციელებს ქსელის დეტალურ დიაგნოსტიკას, მომსახურების პარამეტრების შემოწმებას, დისტანციურ კონფიგურაციასა და სხვა ტექნიკურ ღონისძიებებს.

3. მესამე დონე (L3) – სპეციალიზებული ტექნიკური ჯგუფები

- თუ დიაგნოსტიკის შედეგად დადგინდება, რომ ხარვეზი გამოწვეულია **ფიზიკური დაზიანებით** (მაგისტრალური ან სააბონენტო ოპტიკური კაბელი, ოპტიკური ქსელი, პასიური ინფრასტრუქტურა და სხვა), შემთხვევა გადაეცემა შესაბამის საველე ტექნიკურ ჯგუფს (ოპტიკოსებს) დაზიანების ადგილზე აღმოსაფხვრელად.
- თუ ხარვეზი დაკავშირებულია **ლოგიკურ ან პროგრამულ პრობლემასთან** (ქსელის კონფიგურაცია, მარშრუტიზაცია, VLAN, MPLS, BGP, აქტიური ქსელური მოწყობილობები და სხვა), შემთხვევა ესკალირდება მთავარი ქსელის ადმინისტრატორის ან შესაბამისი მიმართულების უფროსი ქსელის ინჟინრის დონეზე.

ოპერატორი უზრუნველყოფს ხარვეზის მართვის პროცესის უწყვეტ მონიტორინგს, პასუხისმგებელი ჯგუფების კოორდინირებულ მუშაობას და მომსახურების აღდგენას დადგენილი SLA-ის შესაბამისად.

8.5. დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ წინასწარი შეტყობინების ვადები და პირობები
გეგმიური ტექნიკური სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში მომხმარებლის წინასწარ ინფორმირებას, თუ აღნიშნულმა სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების დროებითი შეზღუდვა ან შეწყვეტა.

1. მომხმარებელი დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ ინფორმირდება **არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოების გადაუდებელი განხორციელება აუცილებელია ქსელის უსაფრთხოების, სტაბილურობის ან ავარიული მდგომარეობის აღმოსაფხვრელად.
2. შეტყობინებაში, შესაძლებლობის ფარგლებში, მიეთითება:
 - ტექნიკური სამუშაოების დაწყების თარიღი და დრო;
 - სამუშაოების სავარაუდო დასრულების დრო;
 - მომსახურებაზე შესაძლო გავლენა;
 - დაზარალებული გეოგრაფიული არეალი ან მომსახურების სეგმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. შეტყობინების ფორმა:
 - ელექტრონული ფოსტით;

- SMS შეტყობინებით;
 - მომხმარებლის პირადი ან კომპანიის სატელეფონო ნომერზე.
4. ავარიული ან სხვა გადაუდებელი ტექნიკური სამუშაოების შემთხვევაში, როდესაც წინასწარი შეტყობინება ობიექტურად შეუძლებელია, ოპერატორი მომხმარებელს აცნობებს სამუშაოების დაწყებისთანავე ან უმოკლეს შესაძლო ვადაში და მიაწვდის ინფორმაციას მომსახურების აღდგენის სავარაუდო დროის შესახებ.

ნაწილი 9. ოფერტის მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე მოწვევის ოფერტა ძალაშია მისი გამოქვეყნებიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის ვადით. ოფერტის პირობები რჩება ძალაში, ვიდრე ოფერანტი არ შეიტანს მასში ცვლილებებს. წინამდებარე ოფერტის ძალაში შესვლით ძალადაკარგულად ცხადდება 2019 წლის 01 მაისის გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების მოწვევის ოფერტა.

შპს „ახალი ქსელები“-ს დირექტორი

ხათუნა ინჯია

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.42

ტელეფონი: (032) 2110000

ელ.ფოსტა: info@ak.ge